ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1989917

ნომერი: AR1323202

თარიღი : 01.07.2015

გაცემის თარიღი : 03.07.2015

გაცნობის თარიღი : 03.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 114 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ ლომთათიძე პ/ნ 01022005044
- თბილისი სანერგე მეურნეობის დას.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ადმინისტრაციული - საქმიანი ობიექტები
  - ოფისი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1323202 01.07.2015წ. განაცხადის პასუხად, გაცნობებთ რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამსახურის მიერ გაიცა #1129890 07.03.2014 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საწყობის განსათავსებლად, შემდგომ №1633529 10.12.2014 ბრძანებით განხორციელდა მასში ცვლილება, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: საწყობი და საზოგადოებრივი–კვების ობიექტი (კაფე–ბარი); აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე შეთანხმებულია პროექტები და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული შენობა–ნაგებობები ექსპლუატაციაში მიღებულია არ არის Tas.ge–ზე ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და აირჩიოთ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება და მიუთითოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ნომერი და თარიღი – #1129890 07.03.2014 ასევე უნდა შეცვალოთ მოთხოვნის ტექსტი და დააფიქსიროთ რომ გსურთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება საოფისე შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის დამატებით;

ასევე გთხოვთ საკადასტრო გეგმაზე მონიშნოთ სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობა;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების ან ზემოაღნიშნული აქტის მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, ასევე შესაძლებელია დააფიქსიროთ აღნიშნული პიროვნების მონაცემები ამავე განაცხადის თანაგანცხადებლის ველში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.